

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ოქმი N55

ქ.თბილისი

20 მაისი, 2025 წელი
15⁰⁰საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე

ნათია მოდებაძე

ლევან არველაძე

შალვა ოგბაიძე

მარიამ გელაშვილი

ვიტალი ონიანი

ოთარ გრიგოლია

გურამ ოქროპირიძე

ლევან დავითაშვილი

ნინო რუხაძე

ნინო ვარდოსანიძე

თამარ ჩახვაშვილი

კონსტანტინე ზარნაძე

ზურაბ ჩიკვილაძე

მარიამ ზაქარიაშვილი

გივი ჩხარტიშვილი

ანა კაკაბაძე

ავთანდილ ცინცაძე

ნიკოლოზ კახეთელიძე

ალექსანდრე ხუჯაძე

ანა კილაძე

ლევან ჯაფარიძე

კახაბერ ლაბუჩიძე

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი გიორგი ნამგალაური;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ნინო ლომინაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი სერგო ბირკაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძე.

სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის რევაზ სოხაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“;
მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“;
მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიული საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
მომხსენებელი: გიორგი ნამგალაური
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N50-98 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;
მომხსენებელი: ნინო ლომინაძე
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის N52-16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე“;
მომხსენებელი: ნინო ლომინაძე
6. „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M₂ ან M₃ კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე
7. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის N86 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე
8. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის მე-4 მ/რ, N102 საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.146, ფართობი - 6000 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;
მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

9. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ბოჭორიშვილის ქუჩა N13, I გასასვლელი N1; N11-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.12.018.837, ფართობი - 1335 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

10. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, კონსტანტინე კაპანელის ქუჩა, N11-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.575, ფართობი - 2348 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

11. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, თემქის დასახლება, III მიკრო/რაიონი, III კვარტალი, კორპუსი N48-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.17.034.005, ფართობი - 1023 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

12. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N21ა; ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N21-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.14.011.033, ფართობი - 1442 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

13. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნადიკვარის III ქუჩა, N34-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.01.003.152, ფართობი - 4876 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

14. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N234ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.202.011, ფართობი - 6988 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

15. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი N24ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.19.34.002.054, ფართობი - 1617 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

16. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

17. „ქალაქ თბილისში, გლდანის III მკ.რ-ის მიმდებარედ არსებული, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.301) განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშე სამშენებლო განვითარების დასაშვებობის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

18. „ქალაქ თბილისში, სოფელი წავკისი, მარიჯანის ქუჩა, N26-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდები: N01.81.02.355.069) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

19. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ქოშიგორაზე; ქალაქ თბილისში, უდაბნოს მონასტრის ქუჩა N58, N62, N64, N66; ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ნატბეურში; ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ნატბეურებში; ქალაქ თბილისში, დიღომში, ქოშიგორა, ნატბეურებში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.045.608; N01.72.14.045.023; N01.72.14.045.024; N01.72.14.045.019; N01.72.14.045.017; N01.72.14.045.016; N01.72.14.045.015; N01.72.14.045.020; N01.72.14.045.026; N01.72.14.045.359; N01.72.14.045.358; N01.72.14.045.022; N01.72.14.045.021) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

20. „ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა, N36-ში (ნაკვ. 07/029); ქალაქი თბილისი, სარაჯიშვილის ქუჩა N36-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.10.007.061; N01.10.10.007.080; N01.10.10.007.081) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

21. „ქალაქ თბილისში, ლისის ტბის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.14.16.009.237; N01.14.16.009.490-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

22. „ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.26.004.342) ნავთობბაზის სასაწყობო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

23. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში; ქალაქი თბილისი, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.81.02.365.106; N01.81.02.365.105; N01.81.02.365.107) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ორბინიანი

საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

24. „ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.20.030; N72.16.17.958) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

25. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში; ქალაქი თბილისი, სოფელი ტაბახმელა, დემეტრე თავდადებულის II შესახვევი, N12; N14; ქალაქი თბილისი, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: NN81.02.98.426; 81.02.95.257; 81.02.39.135; 81.02.05.709; 81.02.39.039; 81.02.05.758; 81.02.05.932; 81.02.05.933; 81.02.05.934; 81.02.05.710; 81.02.05.905; 81.02.05.713; 81.02.95.038; 81.02.05.918; 81.02.05.499; 81.02.05.820; 81.02.95.112; 81.02.95.110; 81.02.94.609; 81.02.95.093; 81.02.06.621; 81.02.94.442; 81.02.94.443; 81.02.94.444; 81.02.05.693; 81.02.94.441; 81.02.94.445) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

26. „ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.58.046.002; N01.72.58.046.003-ის ნაწილი; 01.72.58.035.003-ის ნაწილი) სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

27. „ქალაქ თბილისში, საქართველოს სამხედრო გზა და გლდანი-დიდმის შემაერთებელი გზის მიმდებარედ, ნაკვ. 03/014; ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N105; ქალაქი თბილისი, ლუბლიანას ქუჩა, N70ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.01.009.004; N01.13.01.009.083; N01.13.01.003.022; N01.13.01.009.005; N01.13.01.010.088) მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

28. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

29. „ქალაქ თბილისში, უცნობ გმირთა ქუჩა N57-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.21.001.229) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

30. „ქალაქ თბილისში, ალექსანდრე მრევლიშვილის ქუჩა N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.12.024.165) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

31. „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N5-სა და კორპუს N6-ში (საკადასტრო კოდები: N01.16.09.001.001 და N01.16.09.001.020) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

32. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.031.01.026) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

33. „ქალაქ თბილისში, მთისძირის ქუჩა N101-ის მიმდებარედ არსებული 39.96 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.08.004.034.01.500) და 4.14 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.08.004.033.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

34. „ქალაქ თბილისში, აჭარის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.02.010.006) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N73 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ თბილისში, აჭარის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.02.010.006.01.564) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

35. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ. 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

36. „ქალაქ თბილისში, ბუაჩიძის ქუჩა N8-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.003.029) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

37. „ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. N5ა-ში არსებული N1 ბინის, N8 ბინის, N10 ბინის (საკადასტრო კოდები: N01.14.15.001.300.03.03.510; N01.14.15.001.300.03.03.506; N01.14.15.001.300.03.03.010) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

38. „ქალაქ თბილისში, ზურა ავალიშვილის ქ. N12-ში მდებარე N162 ბინის (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.197.01.03.162) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

39. „ქ.თბილისში, ბოჭორიშვილის ქ. N20-ის მიმდებარედ N01.11.12.019.203 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 11350 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა

გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „მილენიუმისთვის“ (ს/ნ. 400265208), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

40. „ქ.თბილისში, მოსკოვის გამზირი N7-ის მიმდებარედ 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.084) პირდაპირი განკარგვის წესით, გელა გოცირიძისთვის (პ/ნ. 01012026939) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

41. „ქ.თბილისში, ალ.ყაზბეგის გამზირი N10-ის მიმდებარედ 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.014.018) პირდაპირი განკარგვის წესით, თეკლე ცხვედიანისთვის (პ/ნ. 01024051352) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

42. „ქ.თბილისში, მუხრანის ქუჩა N1/ქ.თბილისში, ჩარგლის ქუჩა N37-ის მიმდებარედ 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.09.001.011) პირდაპირი განკარგვის წესით, ეთერ ჩორგოლიანისთვის (პ/ნ. 01002006282) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

43. „ქალაქ თბილისში, გამრეკელის ქ.N3-ის მიმდებარედ არსებული 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.17.003.029) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ზიარ ჯორჯიასთვის“ (ს/ნ. 206152688) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

44. „ქ.თბილისში, ერეკლე II ქუჩაზე არსებული 1136 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.18.03.045.019) 32 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ინგა ხელაიასთვის (პ/ნ. 62007014706) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

45. „ქ.თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N1-ში არსებული 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.18.03.062.018) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „საჩინოსთვის“ (ს/ნ. 204380776) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

46. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

47. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, თხინვალაში, იოსებ კეჭაყმაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი ჩიხისთვის ხელბურთელის იმედო ფხაკაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

48. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, პეტრე ხვედელიძისა და შანდორ პეტეფის ქუჩებთან არსებული უსახელო მოედნისთვის მონტევიდეოს სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

49. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ე.წ. ვარკეთილის ცენტრალური პარკისთვის უზბეკი პოეტის, მოაზროვნის და სახელმწიფო მოღვაწის ალიშერ ნავოის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

50. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ზიგზაგის ჩიხისთვის და ზიგზაგის II ქუჩისთვის ზიგზაგის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

51. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გვაზაურის II შესახვევისთვის გეოლოგის, აკადემიკოს გიორგი მოწენიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

52. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში, მირზა გელოვანის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის კინორეჟისორის ომარ გვასალიას სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

53. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, მუხიანის 2-ის დასახლებაში, კალოუბნის I გასასვლელისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, უსახელო ჩიხისთვის, შესახვევისთვის და კალოუბნის I ჩიხის მონაკვეთისთვის იკორთის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

54. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, დავით გურამიშვილის გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, ახალდაბის ქუჩის მონაკვეთისთვის და ახალდაბის ჩიხისთვის დრამატურგისა და მსახიობის ავქსენტუ ცაგარელის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

55. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მოლითის ქუჩის მონაკვეთისთვის, მოლითის I ჩიხისთვის, ახალდაბის ქუჩის მონაკვეთისთვის და შესახვევისთვის ახალდაბის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

56. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, დრანდის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის დრანდის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

57. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ანდრო ქუჯოშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ანდრო ქუჯოშვილის IV შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

58. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში, წმინდაწყლის ქუჩის გაგრძელების და ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის წმინდაწყლის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

59. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის ლეო კვაჭაძის II გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

60. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ალადასტურის ქუჩის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

61. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩასთან მდებარე სამი უსახელო ჩიხისთვის, ნავთლუღის II დასახლების III ქუჩისთვის, II ქუჩისთვის და გრიგოლ ლორთქიფანიძის გასასვლელისთვის გრიგოლ ლორთქიფანიძის I შესახვევის, I, II, III, IV და V ჩიხების სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

62. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, იოსებ ჟორდანიას ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის იოსებ ჟორდანიას I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“.

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის რევაზ სოხაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და აღნიშნა, რომ რევაზ სოხაძე იყო საკრებულოს ერთ-ერთი გამორჩეული წევრი, რომელმაც განახორციელა ძალიან მნიშვნელოვანი საქმიანობა, რისთვისაც მადლობა გადაუხადა და წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში.

ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ უერთდება გიორგი ტყემალაძის მოსაზრებას, აღნიშნა, რომ რევაზ სოხაძე იყო და რჩება თბილისის ერთ-ერთ ყველაზე დიდ გულშემატკივრად, რომლის საქმიანობაც იყო და არის საამაყო. ოთარ გრიგოლიამ, საკრებულოს უმრავლესობის სახელით, მადლობა გადაუხადა რევაზ სოხაძეს საკრებულოში გაწეული საქმიანობისთვის და წარმატებები უსურვა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებებით ბიუჯეტის შემოსავლები ჯამურად იზრდება 13800000 ლარით, რაც გადანაწილებულია სხვადასხვა მიმართულებებით.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროექტი განხილულია საკრებულოს კომისიებზე და აღნიშნა, რომ მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურთან შეთანხმებით, ბიუჯეტში მომდევნო ცვლილებების განხორციელებისას, შესაძლებელი იქნება რაიონული გამგეობების გაძლიერება, რათა მათაც ჰქონდეთ რესურსები პროექტების განსახორციელებლად.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიული საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა გიორგი ნამგალაურმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით იურიდიულ საქალაქო სამსახურს ენიჭება უფლებამოსილება, მოთხოვნის შემთხვევაში, მთავრობის დავალებით, განახორციელოს რაიონული გამგეობების წარმომადგენლობა სასამართლოში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N50-98 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ნინო ლომინაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი და მომდევნო პროექტით ცვლილება შედის სამ ქვეპროგრამაში, კერძოდ: სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების ქვეპროგრამაში, სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების დახმარების ქვეპროგრამაში და პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაში. სიახლეს წარმოადგენს ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც სამსახურს, ელექტრონული სახით, გაუჩნდება წვდომის უფლება სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს შშმ პირთა რეგისტრზე, რაც განპირობებულია იმით, რომ ხშირ შემთხვევაში, მოქალაქეების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულყოფილია ან ვერ ხერხდება ვერიფიკაცია.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის N52-16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ნინო ლომინაძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

6. „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M₂ ან M₃ კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით სკოლის „იუჯი“ მომსახურე ავტობუსებს და მიკროავტობუსებს, მოსწავლეთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილების მიზნით, დღის გარკვეულ მონაკვეთში, ეძლევათ ავტობუსის ზოლში გადაადგილების უფლება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

7. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის N86 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდება ახალი რედაქციით, რომლის მიხედვითაც ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი ღონისძიებების ვადად განისაზღვრება 2023 წლის პირველი ივლისიდან 2025 წლის პირველ ოქტომბრამდე პერიოდი და სამართალდამრღვევებს, რომლებსაც ამ პერიოდში უფიქსირდებათ საჯარიმო ქვითრების გადახდა ელექტრონული საჯარიმო ქვითრების გარეშე, გადახდები ჩათვლებათ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

8. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნუცუბიდის მე-4 მ/რ, N102 საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.146, ფართობი - 6000 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ დაინტერესებული პირი, ნუცუბიდის მე-4 მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.1-მდე გადამეტების სანაცვლოდ, რაც გულისხმობს ორი მიწისზედა სართულის დამატებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს თოთხმეტსართულიანი შენობის განთავსებას, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, ბიუჯეტში გადაიხდის 1878000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

9. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ბოჭორიშვილის ქუჩა N13, I გასასვლელი N1; N11-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.12.018.837, საერთო ფართობი - 1335 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ დაინტერესებული პირი, ბოჭორიშვილის ქუჩა N13-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 3.5-დან 4.7-მდე გადამეტების სანაცვლოდ, რაც გულისხმობს ორი მიწისზედა სართულის დამატებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ათსართულიანი შენობის განთავსებას, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, ბიუჯეტში გადაიხდის 548000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

10. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, კონსტანტინე კაპანელის ქუჩა, N11-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.575, ფართობი - 2348 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ დაინტერესებული პირი, კაპანელის ქუჩა N11-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების

ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.0-მდე გადამეტების სანაცვლოდ, რაც გულისხმობს ერთი სართულის დამატებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ცხრასართულიანი შენობის განთავსებას, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, ბიუჯეტში გადაიხდის 607000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

11. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, თემქის დასახლება, III მიკრო/რაიონი, III კვარტალი, კორპუსი N48-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.17.034.005, ფართობი - 1023 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ დაინტერესებული პირი, თემქის დასახლება, III მ/რ, III კვარტალი, კორპუსი N48-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 2.1-დან 2.6-მდე გადამეტების სანაცვლოდ, რაც გულისხმობს ერთი მიწისზედა სართულის დამატებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს შვიდსართულიანი შენობის განთავსებას, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, ბიუჯეტში გადაიხდის 177000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

12. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N21ა; ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N21-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.14.011.033, ფართობი - 1442 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ დაინტერესებული პირი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N21ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 4.2-დან 6.4-მდე გადამეტების სანაცვლოდ, რაც გულისხმობს ოთხი მიწისზედა სართულის დამატებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს თორმეტსართულიანი შენობის განთავსებას, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, ბიუჯეტში გადაიხდის 5286000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

13. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნადიკვარის III ქუჩა, N34-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.01.003.152, ფართობი - 4876 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ დაინტერესებული პირი, ნადიკვარის III ქუჩა, N34-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 1.5-დან 1.7-მდე გადამეტების სანაცვლოდ, რაც გულისხმობს ერთ ბლოკზე ერთი სართულის დამატებას, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, ბიუჯეტში გადაიხდის 606000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

14. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N234ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.202.011, ფართობი - 6988 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ დაინტერესებული პირი, აღმაშენებლის ხეივანი, N234ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.5-მდე გადამეტების სანაცვლოდ, რაც გულისხმობს ორ ბლოკზე 2-2 სართულის დამატებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს თოთხმეტსართულიანის ნაცვლად თექვსმეტსართულიანი შენობის განთავსებას, ხოლო თექვსმეტსართულიანის ნაცვლად თვრამეტსართულიანი შენობის განთავსებას, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, ბიუჯეტში გადაიხდის 2276000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

15. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი N24ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.19.34.002.054, ფართობი - 1617 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ დაინტერესებული პირი, მოსკოვის გამზირი N24ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2

კოეფიციენტის 3.5-დან 6.5-მდე გადამეტების სანაცვლოდ, რაც გულისხმობს ექვსი მიწისზედა სართულის დამატებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ცამეტსართულიანი შენობის განთავსებას, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, ბიუჯეტში გადაიხდის 1878000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

16. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ.

